№ 30. 31 ივლისი (12 აგვისტო) 1870 31 ივლისი (12 აგვისტო) № 30.

ГАЗЕТЫ „ДРОЕБА“ ГОРОДА ТИФЛИСА

ГАЗЕТИС ФАСИ

ლისში და გა-
ადგილებში: Გაგზავნით Გაუგზავნელათ:
წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
ნ წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
თვისა — 2 — 50 კ. — — — 2
თვისა — 1 — — — — „ — 75 კ.
ერთის ნომრისა — — — „ — 15 კ.
ედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი ГАНСЦХАДЕБА
და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულე-
ასებრივ გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით
ზე 1/2 კაპ.

„ДРОЕБА“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ДРОЕБА

ХЕЛИС-МОЦЦЕРА МИИЦЕБА:

ТФИЛИСШИ — „ДРОЕБИС“ რედაქციის კანტორაში, მელი-ქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

Тфилисის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ლ. ლ ო ლ უ ა ს თ ა ნ — პოლიციის ქუჩაზე მელქონ პალიევის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „Дроебашидასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებ„ გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲔᲮᲣᲗᲔ.

ХЕЛИС-ᲛᲝᲦᲬᲔᲠᲐ

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ **„ДРОЕБИС“** ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐᲖᲔ

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲛᲞ. ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲦᲬᲔᲠᲡ ᲔᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲔᲚᲘᲡᲘᲓᲒᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲘᲜ.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ — — — ᲝᲗᲮᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐ.

— ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲔᲚᲐᲗ — — ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲗ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ.

ᲛᲘᲡᲐᲪ ᲰᲡᲣᲠᲡ, ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲝᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ.

„ДРОЕБИС“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲣᲛᲝᲦᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲡᲗᲮᲝᲦᲕᲡ ᲘᲛ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲦᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲦᲝᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲦᲣᲢᲐᲜᲘᲐᲗ ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲨᲔᲛᲝᲦᲣᲢᲐᲜᲝᲦ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲔᲒᲡᲘᲡᲝᲑᲘᲡᲐ.— ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ.— ᲥᲐᲠᲗᲚᲘ. („ДРОЕБИС“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ).— ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.— ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.— ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ:— ᲠᲣᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲑᲐᲢᲔᲑᲐ.— ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲑᲐᲢᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲨᲘ („ДРОЕБИС“ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ).— ᲜᲐᲠᲔᲕᲘ.

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ — ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ — Ს. ᲬᲘᲙᲝᲤᲚᲐᲫᲘᲡᲐ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲝᲪᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲑᲘᲡᲐ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲡ ᲔᲐᲛᲑᲝᲑ? ᲐᲠᲐᲗᲣ ᲐᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ, ᲔᲗᲐᲙᲘᲚᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲪᲐ ᲕᲐᲭᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲑᲐ: ᲡᲘᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘᲓᲒᲐᲜᲔᲕᲔ ᲩᲐᲜᲔᲠᲒᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲣᲚᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲭᲐᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘᲪ ᲘᲧᲝᲡ ᲘᲡ, ᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲔᲓᲠᲔᲑᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚ ᲙᲐᲪᲡᲐ, ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲖᲔ ᲓᲐᲑᲚᲐ ᲓᲒᲐᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲡᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲨᲘ (ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲛᲔᲢᲘᲡ-ᲛᲔᲢᲘ ᲐᲛᲐᲧᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ-ᲨᲕᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲰᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ): ᲔᲠᲗᲛᲐ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲘᲡ-ᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲑᲔᲠᲘ ᲤᲘᲥᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲐᲑᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲑᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲐᲑᲐᲠᲐ ᲓᲣᲥᲐᲜᲨᲘ ᲨᲐᲒᲘᲠᲓᲐᲗ. (ᲑᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲥᲣᲠᲕᲘᲜᲔᲑᲡ ᲙᲐᲪᲡ!) ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ: ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲞᲐᲠᲐ ᲓᲣᲥᲜᲘᲓᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲨᲘᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲰᲙᲘᲗᲮᲔᲡ — ᲠᲐᲗ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲘᲝᲗ, ᲘᲛᲐᲜ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲐ, ᲠᲝᲛ „ᲛᲣᲓᲐᲛ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡ ᲛᲐᲮᲘᲓᲕᲘᲜᲘᲗᲑᲔᲓᲔᲜ ᲛᲣᲨᲢᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲠᲪᲮᲕᲔᲕᲜᲝᲓᲐᲗ“. ᲘᲡᲔᲕᲔ ᲘᲛᲘᲠᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲡᲐᲪᲐ ᲘᲛᲐᲗ ᲐᲠ ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲙᲘ ᲡᲠᲣᲚᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲠ ᲗᲐᲙᲘᲚᲝᲑᲔᲜ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲡ; ᲥᲐᲠᲗᲚᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲙᲘ, ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲐᲠᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲰᲙᲘᲓᲝᲜ.

ᲩᲕᲔᲜ ᲮᲝᲛ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲣᲥᲐᲜᲨᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲠᲐᲛ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲐᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲡᲣᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲨᲣᲠᲔᲑᲝᲓᲔᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲘᲡ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲘᲡᲔ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲬᲐ—ᲘᲡᲔ ᲛᲝᲛᲪᲔᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛ, ᲞᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲕᲘᲜᲝᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲡᲛᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲒᲔᲑᲐᲪ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲗ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲧᲣᲡᲐᲗᲣᲠᲗ, ᲛᲔᲢᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲡ; ᲐᲠᲐᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲔᲗᲐᲙᲘᲚᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲪᲐ ᲕᲐᲭᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲑᲐ: ᲡᲘᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘᲓᲒᲐᲜᲔᲕᲔ ᲩᲐᲜᲔᲠᲒᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲣᲚᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲭᲐᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘᲪ ᲘᲧᲝᲡ ᲘᲡ, ᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲔᲓᲠᲔᲑᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚ ᲙᲐᲪᲡᲐ, ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲖᲔ ᲓᲐᲑᲚᲐ ᲓᲒᲐᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲡᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲨᲘ (ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲛᲔᲢᲘᲡ-ᲛᲔᲢᲘ ᲐᲛᲐᲧᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ-ᲨᲕᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲰᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ): ᲔᲠᲗᲛᲐ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲘᲡ-ᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲑᲔᲠᲘ ᲤᲘᲥᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲐᲑᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲑᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲐᲑᲐᲠᲐ ᲓᲣᲥᲐᲜᲨᲘ ᲨᲐᲒᲘᲠᲓᲐᲗ. (ᲑᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲔᲜ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲔᲑᲘ, ᲡᲐᲗᲐᲙᲘᲚᲝ ᲓᲐ ᲣᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲠᲝᲛ ᲐᲛᲜᲐᲘᲠᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲐᲠᲪᲕᲐᲡ ᲨᲣᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲒᲐᲜᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲛᲜᲐᲘᲠᲐᲗ ᲘᲕᲐᲭᲠᲝᲡ ᲙᲐᲪᲛᲐ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲗ ᲘᲛᲐᲜ, ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ, ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲕᲜᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲝᲡ?

ᲥᲐᲠᲗᲚ-ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲨᲘ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲔᲑᲘ, ᲰᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲔᲜ ᲜᲘᲒᲕᲖᲘᲡ ᲧᲣᲜᲫᲔᲑᲡ, ᲒᲐᲐᲥᲕᲗ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲐᲠᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲓᲐ ᲘᲥ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲗᲐᲓ ᲰᲧᲘᲓᲘᲐᲜ. ᲩᲕᲔᲜᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲒᲕᲘᲒᲝᲜᲘᲐ, ᲤᲣᲗᲘᲗ ᲧᲣᲜᲫᲘ ᲡᲐᲛ-ᲝᲗᲮ ᲐᲑᲐᲗᲐᲗ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲐᲠᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲙᲘ ᲪᲐᲛᲔᲢᲝᲗᲮᲛᲔᲢ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ. ᲛᲐᲡᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ, ᲒᲖᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲐᲠᲯᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲡᲣᲚ ᲠᲝᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲛᲐᲜᲔᲗᲖᲔ ᲝᲠ-ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲒᲔᲑᲔᲜ. ᲮᲨᲘᲠᲐᲗ ᲐᲛ ᲧᲣᲜᲫᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘᲕᲔ ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲥᲕᲗ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲗ ᲮᲣᲗᲐᲓ ᲛᲝᲒᲕᲧᲘᲓᲘᲐᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲐᲕᲘᲦᲝᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ: ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲡ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲛᲐ ᲔᲠᲗ-ᲮᲛᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲡᲝ ᲑᲐᲛᲑᲐ, ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲔᲜᲓᲠᲝ ᲛᲝᲓᲘᲡᲝ. ᲠᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲐᲠᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔᲑᲘᲡᲐ? ᲛᲒᲝᲜᲘ, ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲜᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲑᲐᲛᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲜᲓᲠᲝᲗ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐᲗᲔᲡᲘᲚᲘ, ᲒᲐᲣᲡᲐᲯᲚᲔᲑᲚᲐᲗ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲣᲗᲘᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ, ᲗᲣ ᲮᲔᲚᲘᲡᲑ ᲒᲐᲐᲜᲫᲠᲔᲑᲓᲐ ᲐᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲛᲧᲕᲐᲜᲘ. ᲐᲑᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲩᲕᲔᲜᲔᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲒᲕᲧᲐᲕᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲔᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔᲑᲘ? ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲗ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲔᲕᲔ ᲒᲕᲧᲝᲤᲜᲘᲓᲔᲡ.

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ ᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲫᲠᲔᲕᲐ, ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲔᲜ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲔᲑᲘ, ᲡᲐᲗᲐᲙᲘᲚᲝ ᲓᲐ ᲣᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲠᲝᲛ ᲐᲛᲜᲐᲘᲠᲘᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲐᲠᲪᲕᲐᲡ ᲨᲣᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲡ ᲠᲐᲡ ᲓᲐᲡᲓᲔᲓᲔᲓᲐ! ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲚᲐᲚᲐᲢᲔᲑᲡ ᲘᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲠᲔᲑᲡ!

— ᲐᲘ, ᲣᲛᲐᲓᲣᲠᲔᲑᲐ! ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ, �გᲣᲚᲨᲘ.— ᲨᲘᲚᲐᲪ ᲝᲮᲔᲠᲘ ᲛᲔᲙᲣᲠᲗᲮᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲨᲔᲔᲘᲠᲗᲔ, ᲙᲐᲪᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲓᲐᲒᲐᲜᲐᲮᲔ ᲓᲐ ᲘᲡ ᲙᲘ ᲠᲐᲔᲑᲡ ᲛᲘᲗᲘᲠᲔᲑᲡ? ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲔ ᲕᲜᲐᲮᲐᲕ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲬᲐᲕᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲙᲘ ᲛᲔ ᲕᲘᲪᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲜ!

ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲗ, ᲘᲛ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲕᲘᲚᲐᲪᲐᲡ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲜᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲐᲥᲡᲔᲜᲐᲫᲔ ᲛᲐᲠᲢᲝᲛ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲞᲠᲘᲡᲢᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲚᲨᲘ. ᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲛᲬᲐᲛᲡᲕᲔ ᲨᲔᲐᲢᲧᲝᲑᲜᲔᲡ ᲪᲘᲙᲐᲜᲝᲕᲡ. ᲠᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲐᲠᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔᲑᲘᲡᲐ? ᲛᲒᲝᲜᲘ, ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲜᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲑᲐᲛᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲜᲓᲠᲝᲗ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐᲗᲔᲡᲘᲚᲘ, ᲒᲐᲣᲡᲐᲯᲚᲔᲑᲚᲐᲗ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲣᲗᲘᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ, ᲗᲣ ᲮᲔᲚᲘᲡᲑ ᲒᲐᲐᲜᲫᲠᲔᲑᲓᲐ ᲐᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲛᲧᲕᲐᲜᲘ. ᲐᲑᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲩᲕᲔᲜᲔᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲒᲕᲧᲐᲕᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲔᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔᲑᲘ? ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲗ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲔᲕᲔ ᲒᲕᲧᲝᲤᲜᲘᲓᲔᲡ.

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ ᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲫᲠᲔᲕᲐ,

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲦᲬᲔᲠᲐ

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ **„ДРОЕБИС“** ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐᲖᲔ

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲛᲞ. ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲦᲬᲔᲠᲡ ᲔᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲔᲚᲘᲡᲘᲓᲒᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲘᲜ.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ — — — ᲝᲗᲮᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐ.

— ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲔᲚᲐᲗ — — ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲗ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ.

ᲛᲘᲡᲐᲪ ᲰᲡᲣᲠᲡ, ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲝᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ.

„ДРОЕБИС“

შრომა და ფულები სჭირია. მაგრამ ხელ გაუნძრეველათ და უშრომოთ განა რისმე გაკეთება შეიძლება? ფულები უნდაო! ღმერთო ჩემო, როგორ შოულობენ ფულებს და როგორ იწყებენ საქმეს პერანგის ამარა ფრანცუზები რომ ჩამოდიან ჩვენში? ყოველს საქმეში და განსაკუთრებით ევროპაში ყველაზე უფრო შრომა და მოხერხებაა კაცისთვის საჭირო; თუ ეს ორი თვისება აქვს კაცს, ის, უეჭველია, ყველაფრის გაკეთებას შეიძლებს, და გულ-ხელ დაკრეფილი და ფეხ-მოკეცილი რომ მოუჯდეს კარიას, რასაკვირველია, არაფერი არ გაკეთდება.

ჩვენ გვინდა ცოტა ვიშრომოთ და ბევრი შეკეიძინოთ; მარტო ჩვენ კი არა, ყველასთვის სასიამოვნო იქნება, რომ, პირის დაღების მეტი, არაფერი უნდოდეს კაცს. ცოტ-ცოტა ჩვენში ყველაფერი მოჰყავთ: ენდროც, აბრეშუმიც, თამბაქოც, ბამბაც და სხ. და ამ ცოტათი გვინდა გავმდიდრდეთ. ჩვენ გვახსოვს, რომ 1864—65 წელიწადებში, ამერიკის ომიანობის დროს, როცა ევროპაში იქიდან ბამბა ცოტა გამოჰქონდათ, საშინელი ფასი დაედვა ამ საქონელს; ასე რომ ჩვენ ბირჟებსაც დაეტყო ეს ბამბის სიძვირე. მთელმა იმერეთმა მოინდომა მაშინ ამ სიძვირით სარგებლობა და გამდიდრებას აპირებდა. იმერეთის ერთ პატარა სოფელში, ხონში, კალათით ჩაჰქონდათ დედა-კაცებს ბამბა და აზნაურიშვილები კი ცხენის საპალნით გზავნიდენ ქალაქში და ამნაირათ გაკეთებას აპირებდენ!... რაც უნდა ძვირათ გაჰყიდო საქონელი, ცოტა თუ მოგყავს ის, გაკეთება არ შეიძლება. სარგებლობა მაშინ იქნება, როცა ბევრი მოგყავს და ისე ძვირათ არ ჰყიდი, რომ მარტო შეძლებულებს ჰქონდეთ ლონის-ძიება შენი მოყვანილი საქონელის შეძენისა.

იმედი უნდა გვქონდეს, რომ ჩვენი საზოგადოება მიაქცევს თავის საკეთილდღეო საქმეს ჯეროვან ყურადღებასა და არ ითაკილებს ისეთ საქმეს, როგორიც არის აღებ-მიცემობა. ყოველი კაცი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ შრომა, როგორიც უნდა იყოს ის, კაცის ღირსების ამამაღლებელია და არა დამამცირებელი. ამას გარდა ჩვენ ახლა ისე ღარიბი ვართ, ისე გვჭირია ჩვენი მატერიალური და ზნეობითი მხრის გასწორება, რომ ამისთვის კარგათ უნდა იფიქროს კაცმა. შრომა და იმის ნამყოფი—ფულები ყველაზე უფრო მომეტებულათ დაგვეხმარებიან ჩვენ ამ საქმეში და ყველაზე უფრო მალე გამოგვიყვანებენ ცუდი მდგომარეობიდგან.

საქართველო

ამას წინათ „დროებაში“ ორი შემთხვევა იყო მოყვანილი, რა რიგათ ირჯებიან გლეხები გაჭირებულ დროსა, როდესაც მამულის პატრონები ზომიერ გადასახადს არა სჯერდებიან. ჩვენ გავიგონეთ, რომ იმგვარათვე ირჯებიანო ბევრს ადგილებში რაჭაში. მთელი სოფელი პირობასა ჰკრავს, რადგან ესა და ეს მამული ამა და ამ კაცს არ მიეცა ღირებულ ფასად, ამისთვის ნურავინ აიღებს იმ მამულსაო. ამისთანა პირობის შემდეგ მართლათაც რამდენიმე წელიწადი რჩება შეუმუშავებელათ კარგი მომცემი მიწები. რასაკვირველია, ბოლოს მამულის პატრონმა უნდა დაუთმოს გლეხებსა, რადგან უამისოთ თვითონაც ზიანში შავა. როგორც ამბობენ, ეს ამბები უფრო მცირე მამულის პატრონებსა და იმათ გლეხებს შუა ხდება.

ამ მოკლე ხანში დაიბეჭდა შარშანდელი (1869) წლის ანგარიში „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისა,“ რომლიდგანაც ვსცნობთ, რომ ამ წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰყოლია 1,095 წევრი; შარშანწინ კი 2,130 წევრი ყოფილა. 1870 წლის 1 იანვარს საზოგადოებას ქონია სულ 292,671 მან. და წელიწადში კი—240,797 მან. ეხარჯება. თავის საქმეების კარგათ წასაყვანათ და საზოგადოთ ხელის—მოსამართავათ, უმაღლესი ბრძანებით, საზოგადოებას მიეცემა 200,000 მან. და ამას გარდა კიდევ დაემკვიდრება 60 ათასი დღიური მიწა, რომელიც ყარაიაზის მინდორში ჰქონდა დროებით მიცემული. ამ საზოგადოების მოქმედება მდგომარეობდა იმაში, რომ ავრცელებდა მომეტებულ ნაწილათ მთიულებში ქრისტეს სარწმუნოებას (მარტო აფხაზეთში 1869 წ. მოუნათლავთ — 7,894 სული), აშენებდა ახალ საყდრებს და შეაკეთებდა ძველებს (15 ახალი საყდარი გაუშენებია), სამღთო წერილის წიგნებს თარგმიდა მთიულების ენებზე და ფულით ეხმარებოდა მთიულ სამღვდელოებას.—ამ საზოგადოების შოლებზე ჩვენ შემდეგში ვილაპარაკებთ.

*
* *

წარსული თვის 28-ს ვლადიკავკაზში გაუხსნიათ და უკურთხებიათ ლორის-მელიქოვის ახალი სახელოსნო შკოლა, რომელშიაც შაგირდებს, წერა-კითხვას გარდა, მჭედლობას, ხურაობას და მებელის კეთებას ასწავლიან. როგორც ერთს რუსულ გაზეთში სწერენ, გახსნისა თანავე ამ შკოლაში 40 ყმაწვილი შესულა.

ამ თვის 18-ს ქახეთისაკენ, საკუთრივ თელავის ახლო-მახლო სოფლებში, სეტყვა მოსულა და, როგორც შევიტყეთ, ზვრებისთვის ძალიან დიდი ვნება მიუცია. თუ მართლა ბევრგან ყოფილა ეს შემთხვევა, წრეულს ღვინის სიძვირეს უნდა მოველოდეთ.

*
* *

წლევანდელმა წვიმებმა ისეთი ვნება არავის არ მისცა, როგორც საწყალ მთიულებსა. ზღერ აქამდინ პურს არ მოუწევია და საქონლისთვის საზამთროთ ბალახიც ვერ მოუთიბავთ.

*
* *

საკვირველ მოსავალს ჩაჩნებში აქებენ. ასის წლის კაცები ამბობენო, ამისთანა მოსავალი არ გვინახავსო. ჩაჩნის გლეხები რომ ყანებში გაივლიან, ქუდებს იხდიან და თაყვანსა სცემენო.

*
* *

ამ წელს ქავკავის პურმა, არამც თუ მარტო ჩვენი ქალაქი გადაარჩინა შიმშილსა, კარგა დიდი ნაწილი საქართველოსაც გამოჰკვება. ზამთარს აქეთ დღეევანდლამდის დიდ-ძალი ხალხი აწევს ქავკავის ბაზარსა: რაჭველები, მოხევეები, თუშები, ხევსურები, ფშავები და მთიულები ბთელი წელიწადია აქა ყიდულობენ სიმინდსა და იმითი რჩებიან. ესეც კი უნდა ვთქვათ, რომ საკმაოთ იეფიც არის: ამ ჟამათ სიძინდი ფასობს მერკა (ფუთზე მეტი იქნება) ორ აბაზათ.

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲓᲐᲛ. *)

(„დროების“ კორრესპონდენცია)

18 ივლისს. თითქმის ერთი თვე ჩემი სოფლიდამ თავი არ გამომიყვია, რაც მე ჩემი უკანასკნელი წერილი გამოვგზავნე ბორის უეზდიდამ. მას აქეთ, და სადაც მე ვიყავი ამ ჟამათა, ისეთი ქვეყანაა, რომ სთქვა: მეფე ირაკლი მოკვდაო, ახალი ამბავი ეგონებათ და გოდებას დაიწყებენ. ამისგამო, ამ ერთის თვის განმავლობაში—რა ამბავი იყო ქვეყანაზედ—არა გამიგიარა. ასე გაშინჯეთ, რომ „დროებაც“ კი არ მიმიღია. თურმე ამ დროებში ქვეყანა ქვეყანათა ქცეულა, მზეს ოცდაათჯერ შემოუვლია დედა-მიწისთვის, გულდამწვარს ნაპოლეონს თავი ვეღარ შეუმაგრებია და გამწარებული სძგერებია თავის საყვარელს ბისმარკეთსა—როგორც უწოდებენ პრუსიას ზოგიერთი პუბლიცისტები,—და მწარეთ ლუკმა-ლუკმა უპირებს გალეწასა, თუ ღმერთმა ხელი მოუმართა... ასე გაშინჯეთ, ამ ხანებში ჩემი წერილიც ჰღირსებია სტამბის დაზგასა, თითქმის უცვალებლივ,—რომელიც ნაპოლეონის ომებზედ უფრო იშვიათი ამბავია,—და მე კი სრულებით არა ეფიდი რა.

ბაკვირვებული მკითხველი იტყვის: „გი შედარება კი სცოდნია ამ წერილის აღებსა, რომ თავის ნაწერებს ნაპოლეონის ომებს უდრისო.“ მაშ, თუ ჩემი სიტყვა არა გჯერა, რომ მე აქ შეუდარებელი არა მითქვამს, აბა ახლა ბორის უეზდში იკითხეთ. მოგვაბეზრა ამბავი, რომ ნაპოლეონმა პრუსიელებს გამოუცხადაო, და აქ ბევრმა ყურიც არ გაუტყა,—პრუსია არც კი იცოდნენ რიგიანად იყო სადმე თუ არა; და ბისმარკი ხომ ზეთითქმის საჭმელი ეგონათ. ბამოვიდა მი წერილი, და ზოგიერთები, როგორ შევიტყე, აღელვებულან. ისე აღუფეთებინა იმ წერილს, ნამეტნავათ ზოგიერთები, რომ შიგა და შიგ მუშტებზედაც დაეფურთხებინათ. ის კი ცუდია, თუ სთქვა შხამი კაცის მკვლელიაო, და მუშტით ლრაკი კი დიდი პატიოსნებაა...

საკვირველათ ნაჯიმათ მიაჩნიათ აქაურ ჩვენი ცუდი მხერეების გამოცხადება. წკეპლაძეს კუჭი კი არ უნდა შეემკო, შეიძკო ბორის მაზრის მუშტი . . .

ზოგიერთი ჩვენი წარჩინებულნი პატრონი იმასაც კი ჯავრობენ, რომ მახოხი თული საჭმელია და ნუ იტყვით, თუ მჟავე ძალიან კეთილი! ვსთქვათ, ჩვენ დაეიდეთ მახოხის სიმჟავე, მაგრამ ამ მეცნიერთ დემდინა ჰსურთ მახოხზედ დარჩენა? ნუ აქამდინ არ ეყოთ, რაც აქამდინ მახოხის ჟავემ პირი ახიათ და მუცელი ახეთქათ! „მაგ სიმჟავისგან დაეიხოცებით და მაგა არავის არ ვათქმევინებთ, რომ ის მჟავეა, რაც „ცისკარი“ თავს მოსწერებია, მომეტებული ნაწილი ჩვენს ქებაში იყო; მაგრამ გამოვიტანეთ იქიდამა იმის მეტი, რომ ჩ ზედ უკეთესი აღარავინ გვეგონა.—ჩვენი მომწონება იქამდინ მივიდა ამდენის ჩვ თავის ქებათა, რომ ბეჭდვითაც კი გამო ხადეთ, რომ ჩვენზედ დაწინაურებული ბედნიერი ხალხი ქვეყანაზედ აღარავინ ა და განათლებული ქვეყნების მიბაძვა, რ არ დაგელუპავს, კეთილს არ დაგვაყრ იქ, ასე გაშინჯეთ, რომ—დახე (ბ-დეს) რავლებასა! აღარაფერი არა სწამთ რა სწამთ, როგორ არა სწამთ, მაგრამ ამ იმათ იმდენი სიკეთეცა სჭირთ, რაც „ცისკარს“ და ბორის მაზრის მკითხ სიზმრათაც არა გეჩვენებია. „ცისკარმა“ ხ ისეთი თვისებები აქო ჩვენი ხალხისა, სრულებით არ იქებოდა. . . . . .

ბზრი, რომ ჩვენ ყველაზედ წარჩ ბულნი ვართ, ბორის მაზრაში ძალ ხშირი გახლავესთ, და არა მგონია, რომ აზრის პატრონები წარმატებაში შეეიდ

— ფეხი არ მოიცვალო შენი ოთახიდგან! ბესმის! ფეხი არ მოიცვალო, თუ შავი დღის დაყენება არ გინდა!—ამის თქმა, უკან დაბრუნება და ანიკოს კარების ჩაკეტა ერთი იყო.

ანიკოს ხმა არ ამოუღია; იმას თითქო არც ეუცხოვა ამნაირი ყოფა-ქცევა თავის ქმარისა; არც ეწყინა, რადგან ისეთ ნაირათ სძულდა და ეზიზღებოდა ქმარი, რომ გაჯავრებაც ვერ მოახერხა. ბაიხადა საგარეო კაბა, მოჰკიდა რაღაც ხელსაქმარს ხელი, დაჯდა ფანჯარასთან და მშვიდობიანათ დაიწყო კერვა.

VIII

ყველაზე უფრო გასაკვირველი ის იყო, რომ ანიკო ამ უკანასკნელ დროს უფრო მხიარულათ იყო, ვინემ წინეთ; თითქმის სახეზედაც შეატყობდა კაცი, რომ ის ახლა უკეთ იყო: ლოყები, ცოტა არ იყოს, გაეესო და ზედ ძველებური სიწითლე და ჯანმთელობა დაეჩნდა. ეს გარემოება მით უფრო უკვირდა ხოსოს, რომ იმან კარგათ იცოდა, როგორ ეპყრობოდა ანიკოს თავის ქმარი.

ოთხი დღე ელოდა მაიკო ანიკოს: აი დღეს მოვა, აი ხვალაო; მაგრამ ანიკო არსად ჩანდა. მეხუთე დღეს შაბათი იყო და საღამოს მაიკო წავიდა ციკანოვისას ანიკოს მოსაყვანათ. შეადგა თუ არა კარებში ფეხი, ანიკო მიეგარდა და მოეხვია, თითქო ოთხი წლის უნახავ დას დაბ მიეგებაო. რამდენიმე მინუტის განმავლობაში ანიკოს ხმა არ ამოუღია; იმან ამოიღო ჯიბიდგან ცხვირსახოცი და მიიფარა თვალებზე, თითქო არ უნდოდა, რომ ვისმე იმის ცრემლები და მწუხარება დაენახა. მაიკო იმ წამსვე მიხვდა ყველაფერს, მაგრამ, თითქო არაფერი იცოდეს, ჰკითხა:

— ანიკო, გენაცვალე, რა დაგმართნია? სად დაიკარგე ამდენი ხანი?

— არ მიშვებს, ცოტა ხინს სიჩუმის შემდეგ, ამოოხვრით უპასუხა ანიკომ.

— რათაო? ხომ არაფერი რამე შეუტყვია, გენაცვალე?

— რასაკვირველია შეიტყობდა. მაგრამ რას შეიტყობდა? სთქვა გამაგრებული გულით ანიკომ.—მე და ის რომ ერთად ხანდისხან მარტო დავიარებით თქვენ ბაღში,—ამას? ღმერთო ჩემო, ესეც შეცოდება არის?... მაიკო, რა უნდა გითხრა.... მე აღარ შემიძლია მეტი მოთმენა. უნდა ვნახო... რაც დამემართება, ვნახავ. მაიკო, მითხარი, გენაცვალე, როდის იქნება ის თქვენთან?

— დღეს; მაგრამ როგორ ნახავ, ანიკო, თუ გიშლის? როგორ იქნება...

— რას მიზამს? მოკვლავს? მოკვლას; მოკვლას... არ მენაღვლება; ცემით ხომ მცემა...

ანიკო დავარდა სკამზე და გულ ამოჯდომით დაიწყო ტირილი.

ამბობენ, რომ ნამდვილი და სრული სილამაზე ლამაზ ადამიანს ტანჯვის დროს გამოაჩნდებაო. ისაც ეს არა სჯერა, ანიკო რომ ენახა, უსათუოთ დარწმუნდებოდა, რომ წვალება ბევრ შნოს აძლევს და აძლიერებს კაცის ბუნებით სილამაზეს. რა მშვენიერათ ჩამოეშვა ანიკოს პირის-სახეზე კუპრივით შავი თმა! როგორ დაუწითლდა ლოყები! როგორ მიებნიდნენ ‘შავ-შავი, ლამაზი თვალები! ისაც უნდა შეეხედნა ამ დროს ანიკოსთვის, უსათუოთ იტყოდა: „აი კაცის ნამდვილი სილამაზეო!“

— მაიკო, რა იქნება, რომ წამოვიდე? რას მიზამ, თუ იცი, ჩემი ქმარი?

— არ ივარგებს, ანიკო, გენაცვალე: რომ შეიტყოს, ძალიან გაგიჯავრდება!

— არ წამოვალ, არა; გარდაწყვეტით სთქვა ანიკომ, მაგრამ, ვინ იცის, რამდენი გულის დარდი და წვალება გამოიხატა ამ ორ სიტყვაში!

— მართლა არ ივარგებს, გაიმეორა კიდევ ერთხელ თავისთვის ანიკომ და ჩაფიქრებულმა ჩაღუნა თავი ძირს.

რამდენიმე მინუტის შემდეგ მაიკო შინ წავიდა.

მაიკო თითქმის ყოველ დღე, ხან დილითა და ხან საღამოობით, მოდიოდა ხოლმე ანიკოსთან და ერთად დროს ატარებდენ: ზოგჯერ ტირილში და „იმის“ მოგონებაში, ზოგჯერ კასკასში და ზოგჯერ რომლისამე ქართული წიგნის კითხვაში.

IX

ოქტომბერი თვე დგას. ღამის ორი საათია. უხიმეთში ისე ბნელა, რომ, როგორც ჩვენში იტყვიან, თვალში თითს ვერ იტაკებს კაცი. ქალაქის უშფოთველი მცხოვრებლები დიდი ხანია მოსვენებული არიან თავიანთ თბილ საწოლში. შფოთიანები კი ასულან ფანრით მოშიშვლებულ მთაზე, რომელიც ზედ გადმოჩერებია უხიმეთსა, დაუდგამთ წინ დოქებით ღვინო, შამფურით მწვადები, თევშებით ზურგიელი და ახალი თევზი და ზურნითა და კიჟინით უფთხობენ ძილს მშვიდობიან მოქალაქეებსა.

ამ დროს მაედნისაკენ ერთი ფაეტონი მიდის; მიაწია თუ არა მისახვევთან შიგ მჯდომარემ უთხრა იზვოსჩიკს გაჩერდიო.

თუმც ძალიან ბნელოდა, მაგრამ კარგი თვალის პატრონი მაინც შენიშნავდა, რომ, გაჩერდა თუ არა ფაეტონი, იქიდგან ეიღაც მაღალი, ახალგაზდა კაცი გადმოხტა და, თითქო მიპარვით, გასწია იქით, საცა ციკანოვის სახლი დგას. ნელ-ნელა მიეპარა ის ნაპირა ოთახის ფანჯარას და კიდევ უფრო ნელა მიარახუნა სამჯერ ფანჯრის მინას. იმავე წამში ფანჯარა წყნარათ გაიღო და ოთახიდგან ქალის მოშიშარი ხმა გამოჰკრა:

— პაველ!

— ანიკო!

იგივე გამჭრიახე თვალი შენიშნავდა, ცოტა ხანს უკან ფანჯრიდგან გადმოვა შალში მოფუთნული ქალი და მოეხვია ყ ზე ძირს მყოფ კაცს, რომელმანც თავის მხ მოჰკიდა იმას წელში ხელი და ამ ნაირათ ბრუნდა უკან და თავის ძვირფასი ტვირთ სვა ფაეტონში.

მკითხველი, უეჭველია, მიხვდებოდა, ეს კაცი იყო დაბაქსენაძე, რომლისთვ ანიკოს ისე უძგერდა გული და რომლის ყვარული იმას, კაცების კანონით, აღკრძალ ლი ჰქონდა. . . . .

ერთი საათის შემდეგ ანიკო და პაველ ხდენ ერთად პაველეს სახლში, რომელიც თქმის ქალაქს გარეთ დგას, და მომატებ კმაყოფილებისაგან ხან კასკასობდენ და შესტიროდენ ერთმანეთს.

ბაცის ბუნება ისეთია, რომ ერთი წამის ლნიერება თითქმის მთელი სიცოცხლის უბ რებას დაავიწყებინებს. რაო, რომ ანიკოს ლის განმავლობაში გულით არ გაუცინ მწუხარებისგან იტანჯებოდა! ბინ იცის, შე შიაც რამდენი მწუხარება და ტანჯვა მო იმას! არც ერთ ამებზე ახლა ის არ ჰფიქ ახლა ანიკო მოშორდა თავის ქმარს, ლის დანახვას ხუთჯერ სიკვდილი ერჩია! ლა ანიკო ზის თავის პაველესთან და სიყვარულით შესცქერიან ერთმანეთს თვალ ში! ამაზე მეტი ბედნიერება განა იქნება!

X

ციკანოვმა ძალიან ადრე გაიღვიძა იმ დ ანიკო რომ არ დახვდა დილით გვერდში წოლილი, იმას არ გაუკვირდა: ყოველ ადრე ადგომა იცის ხოლმე ანიკომ დ ბით; უსათუოთ ის ან ბალკონზეა და

...ი და გაჩუმდი ჩვენს ცუდს მხარეზედ... ...ალთა სხვა მიზეზთა შორის, რომელ... ...ცხვისა არა არს დასასრული, არიან ჩემ... ...მოხსენებულნი მიზეზნიცა, რომელთაც ...ედს იმგვარი აზრები და მოქმედება, ...ლიც მოვიწერე გაკვრით წინანდელს წე... ...ში და რომელნიც მინდა ეხლა გაცნო... ...როგორც შესანიშნი ამბავი.

...ითი ყმაწვილი, რომელმაც ცოლი შეირთო ...ემდეგ თავის მშობლებისა და საზოგა... ...ბრისა, მიიწვიეს, თავისის, მეუღლით ერთს ...ლებაში. Ყმაწვილს უარი ეთქვა. Ბოლოს ...მეებოდნენ და ესეც წასულიყო, უფრო ...ამედით, რომ იმ ოჯახში სადაც მიუწვე... ...ერთი სახლის პატრონთაგანი ყოფილა ...ელი კაცი, უმაღლეს სწავლა მიღებული, ...ამ ედ რ ო ე. წარმოიდგინეთ ამ ყმა... ...ის და იმის ცოლის მდგომარეობა: მი... ...ან თუ არა წვეულებაში, უცებ წამოუ... ...ზოგიერთა სტუმრებს ქუდებისთვის ხელი ...ამოუცხადებიათ: „ჩვენ აღარ დავსდგები... ...სახლის პატრონებსაც მაშინვე გამოუცხა... ...ათ, თ ა ნ ა მ ე დ რ ო ე ს ცხვირწინ, რომ ...ნდ ით, თქვენის გულისთვის ამისთანა ძვირ... ...სტუმრებს ვერ მოვიძულებთო. მეტი რა ...ქნდათ მიწვეულთა, ადგნენ და წავიდნენ. ...გარს რასმე რომ შენიშნამ და იტყვი, ...ი მახოხის პატრიოტნი მაშინვე ქვეყნის ...ს გეძახიან. „Თქვენი ჭირიმეთ, ეს რა ...ნის მტერი გამოვიდაო, აღარც თავისი ...ნია და აღარც სხვისაო. Ვისაც მამული ...ს განა იმის სიცუდეს იტყვისო. სხვებ... ...სენტიმენტალობასა და ფიცს არ და... ...ომ, რომ ძალიან მიყვარს მეთქი ჩე... ...სამშობლო; ვარწმუნებ კი ჩვენი მახო... ...პატრიოტებს, რომ, იმათ თუ ეყურებო... ...ქვეყნის სიყვარული, მცირესაც არის ...ავის გაუმჯობესობისთვის იზრუნებდნენ, ...ავის შვილების წარმატებისთვის. მაგრამ, ...ეფროოთ, ზოგნი ხშირათ სიამაყისა და ...ყვარების მეტისთვის არასა ჰფიქრობენ.

Ა. Ფ.

რუსეთი

...ეის გუბერნიის სამს სოფელში: რეიმენ... ...ოკაში, სოკოლოვკაში და შიაზოვაში ყო... ...ამ მოკლე ხანში გლეხების არეულო... ...ოვის გუბერნატორს გაუგზავნია ჯარი ...ოფლების დასამშვიდებლათ, რომელიც ...ამოჯვეთ მოქცეულა, რომ, გლეხების შე... ...ებლათ და შეუვიწროებელათ, დაუმ... ...ებია არეულობა. Უწესოების მოთავე პი... ...ი ჯარს მალე დაუტუსაღებია.

Спб. Вѣд. № 185.

...ებს, ან ბალშიო, გადაწყვიტა თავის გულ... ...ანოვმა. Უნებლიეთ დაიწყო იმან Ანი... ...ფიქრი. Ახლა ისე სასტიკათ აღარ ...ებდა ის Ანიკოს ყოფა-ქცევას, როგორც ...ელ.

...ოდესაც კაცს ჰსურს კარგი აზრის იყოს ...ეზე, ყოველთვის მონახავს იმაში ისეთს ...ებებს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ის ...ლა კარგი ეინმეა. Თითქმის ყოველი ავა... ...ყოფა-ქცევაში მონახავს კაცი დანაშაუ... ...შემამსუბუქებელ მიზეზებს, თუ სურვი... ...ქვს. Იკანოვის აზრით, Ანიკოზე უარე... ...ანაშაული ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა: ...ნ ის თავს იკლავდა—როგორ გაბედა ...ქსენაძესთან იმან მარტო სიარული და ...ამემდი პრისტავის ბალში ყოფნაო. შინ ...ა, რამდენი ცუდი აზრები მოსდიოდა იმას ...ში? „შინ იცის, რას შვრებოდენ ისინი ...ბიო?“ ჰფიქრობდა ის. მაგრამ დღეს, ლო... ...ში ჩაწოლილს Იკანოვს სულ Ანიკოს გა... ...ოლებელი ფიქრები მოსდიოდა:

— Იქნება, რასაც ამბობენ, სულ ტყუი... —ამბობდა ის თავის გულში. Იქნება ...ულ-უბრალოთაც ეცემე ჩემ Ანიკოს. ძი... ...ა, რომ ესეირნა, ესთქვათ, იმას Დაბაქსე... ...სთან ბალში—რა უყოთ მერე. მაიკო ხომ ...ბანს არ დასტოვებდა მარტოთა. მე არ ...და მწყენოდა ეს ამბავი; Ანიკო ჯერ ბავ... ...ა, იმას მოფერება უფრო მოუხდება.

...ა მიზეზი იყო; რომ ასეთი გულ-ლბილო... ...და სინაზე გამოიჩინა ამ დილას ლოგინში ...ალმა Იკანოვმა—მკითხველი, თუ მო... ...ქრებს, მიხვდება...

...ფიქრების შემდეგ, Იკანოვი სრულე... ...შეურიგდა თავის გულში Ანიკოს და და... ...ა მოსაფერებლად; მაგრამ იმის ძახილზე ...ა ხმა არ ამოილო. Იკანოვმა იფიქრა, სწორეთ ბალშია Ანიკოო, მოიხმო ბიჭი და უთხრა—ქალბატონს უთხარო, რომ ვაჟბატონი გხმობილობსო. წარმოიდგინეთ Იკანოვის მდგომარეობა, როცა, მეოთხედი საათის შემდეგ, ბიჭი მოვიდა და მოახსენა ბატონს, რომ ქალბატონი ყველგან ეძია, მაგრამ ვერსად ვერ მოენახეო.

— Ა, როგორ ვერ ნახე, ოხერო? რას ამბობ? Წადი, კიდევ მოძებნე—იქნება ბალში იჯდეს სადმე მიმალულ ადგილზე!

Ბიჭი კიდევ წავიდა საძებნელად, მაგრამ, ცოტა ხნის უკან, დაბრუნდა და ხელ-ახლავ მოახსენა ვაჟბატონს, რომ ერთი ბუჩქიც არ დამიტოვებია, ბატონო, ბალში გადაუშლელი, მაგრამ ქალბატონი არსად არა სჩანსო.

Იკანოვმა ერთიც უბრძანა მისძახა ბიჭს: რას ამბობო? და იმ წამსვე წამოდგა ზეზე,—მსწრაფლ ტანთ ჩაიცვა და გაიქცა Ანიკოს დედ-მამასთან.

Იკანოვის ბიჭებმა სიცილი შეჭქნეს:

— Ანასუნ შენ საქმეს! Ამდენი ხანი სულ ურტყამდი, ახლა კი წადი და უყარე კაკალი!

XI

Უხიმეთმა იშოვა სალაპარაკო. Ერთი საათის შემდეგ ეს ამბავი, რასაკვირველია, მთელ ქალაქს შეტყობილი ჰქონდა. პირველ შეტყობაზე მოხუცებული ქალები და ახალგაზდა ცოლების პატრონები სრულებით გაშტერდენ. Ამბობენ, რომ ერთი მოხუცებული კაცი, რომელსაც ერთი წლის წინეთ თვრამეტი წლის ქალი შეერთო, ჭკუაზედაც შეიცვალაო და სამი დღის განმავლობაში მუდამ ამბობდაო: „Ოღლი გამექცა! მიშველეთ ცოლი გამექცაო!“

საღამოს Უხიმეთის მაედანზესაშინელი მოძრაობა იყო: უსაქმო და საქმიანი ყველა აქ მოყრილიყო და სჯიდა დროების გაფუჭებაზე, ზნეობის დაცემაზე და წარღვნის მოახლოებაზე. რასაკვირველია, ყველა Ანიკოს გინებაში და განკიცხვაში იყო; ზოგიერთები Იკანოვსაც ამტყუნებდენ:

— Ისე ურჩევნია! რათ შეირთო მეკუპრის ქალი? Აბა რა ხეირი გამოვიდოდა, თქვენი ჭირიმე, მეკუპრის ქალისაგან? ამბობდენ ერთ წრეში.

— შეურცხვა იმას კაცობა! Ამბობდენ მეორე წრეში.—Დედა-კაცი როგორ გამიბედავს გაქცევას? სიქას გავაგდებინებ!..

ქალებს ხომ მთელი დღე ენა არ დაუწყნარებიათ: ზოგიერთებმა მთელი Უხიმეთი შემოიარეს—ვინ რას იტყვისო.

Ისეთი პირებიც ამოჩნდენ Უხიმეთში, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ Იკანოვის ოღლს ცუდი არა უქნია რა, თუ იმისთანა ქმარს გაქცეულიაო, რომელიც იმას სცემდა და მუდამ ცუდათ ეპყრობოდაო; საზოგადო ზნეობა მაშინ იქნებოდა შეგინებული, როცა Იკანოვის ოღლი თავის ქმართან დარჩენილიყო და გარეშე მეგობრები აეჩინაო; ამ უკანასკნელის მსგავსი მაგალითები ჩვენში მოინახება, მაგრამ კაცი ამაზედ ხმას არ იღებსო.

Ერთი სიტყვით, მთელი Უხიმეთი თავის ქერქში აღარ იყო; არა მგონია, რომ ორ კაცს შეეჭამოს სადილი იმ დღეებში მადიანათ, ისე აღელვებული იყვნენ ყველანი.

Დაბაქსენაძე და Ანიკო დამალვას სრულებითაც არ ჰფიქრობდნენ; კიდეც რომ მოენდომებიათ, სად წავიდოდნენ? საათის ათზე, მეორე დღეს, ვილაცას დაენახა Ანიკო Დაბაქსენაძის სახლში. Ეს, რასაკვირველია, იმ წამსვე ჯერ Იკანოვსა და მერე მთელ ქალაქს შეატყობინეს. მთელი დღე შეშლილსავით დაეხეტებოდა Იკანოვი თავის ოთახში, ერთი კუთხიდგან მეორემდი. Ქეთილი ზნეობის დამცველები მიდიოდნენ იმასთან და ურჩევდენ უჩიველე Დაბაქსენაძესაო.—Ვისაც თავის ჭკუა არა აქვს, ის ყოველთვის სხვისი ჭკუით ცხოვრებს.—Იმ დღესვე დაუწერეს Იკანოვს ორი არზა: ერთი სამოქალაქო და მეორე საეკლესიო უწყებაში მისაცემად. Მოტირალის სიტყვებით ეეედრებოდა ის მთავრობას, რომ გაქცეული ქალი უკანვე ჩაბარდეს თავის კანონიერ ქმარს, Დაბაქსენაძე, რომელმაც შეაცდინა Ანიკო, სასტიკათ დაისაჯოს და ამნაირათ იმას მიეცეს კანონიერი დაკმაყოფილება.

XII

Მაგრამ, სანამ მოასწროდა ეინმე რაიმე განკარგულების მოხდენას Უხიმეთში მოხდა ისეთი ამბავი, რომელიც ცხადათ ამტკიცებს, რომ უხიმელებმა კარგათ იციან თავიანთი მამა-პაპური ჩვეულებისა და ზნის დაცვა: მესამე დღეს, შუალამეზე, რამდენიმე ცხენოსანი კაცი დაეცა Დაბაქსენაძის სახლს, შეჰკრეს თვითონ პაველე, აიყვანეს გულ-შემოყრილი Ანიკო, შესვეს ცხენზე და მიუყვანეს თავის ქმარს.....

მეექვსე თვეზე Ანიკოს დააწყებინა სისხლის ფურთხება. Ექიმებმა თქვეს, რომ ჭლექით არის ავათაო და ბევრი კიდევ სამი თვის სიცოცხლე თუ დარჩენიაო. მართლაც, ორი თვეც არ გასულა, Ანიკოს ერთ საღამოს წყნარათ ამოხდა სული. Იმის უკანასკნელი სიტყვები, როგორც ამბობენ, იყო: „Პაველ! Პაველ!“

Დაბაქსენაძემ იმ კვირაშივე გაჰყიდა რაც გააჩნდა და სადღაც წავიდა; კაცმა არ იცის—სად არის ახლა ის, ან ცოცხალია, თუ მკვდარი.

Ს. Წ ე ბ ლ ა ძ ე.

Თფილისი, 19 ივლისს 1870 წ.

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

ᲞᲠᲣᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

7 Ივლისს იყო პირველი სხდომა ჩრდილოეთ-ზერმანიის რეიხსტაგისა (კანონმდებელი კრებისა). ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ საფრანგეთმა პრუსსიას 4 ივლისს გამოუცხადა ომი. 7 ივლისს რეიხსტაგში პრუსსიის კოროლმა სხვათა შორის სთქვა ამ საგანზე: „Ისეთ უბრალო მიზეზმა, როგორც ზოგენ ცოლერნის პრინცის კანდიდატობა Ისპანიის ტახტისთვის, აიძულა საფრანგეთის იმპერატორი ომიანობაზე. Თუმც თავიდგან ჩვენ ეცდილობდით, რომ ხალხთა შორის სისხლის ღვრა არ გაჩენილიყო, მაგრამ ნაპოლეონმა იმდენი უპატიურება მოგვაყენა, რომ ომი, საუბედუროთ, აუცილებელი შეიქნა.

„ჩვენი წინაპარებისამებრ, ჩვენ დავიწყებთ ომს თავისუფლების და სიმართლის დასაცველათ და ამ ომში ღმერთი ისე იქნება ჩვენი შემწე, როგორც წინაპარებისთვის იყო, რადგან ომის დროს მხოლოთ ის გვექნება მიზნათ, რომ მშვიდობიანობა ჩამოვაგდოთ ევროპის ხალხებთ შორის!“

— Საზოგადოთ ნემცები (და არა მარტო პრუსიელები) ძალიან გაცხარებული არიან საფრანგეთის მმართველობაზე. Ეი როგორი სიტყვებით მიმართავს ზერმანიის ხალხს გამოჩენილი ემიგრანტი—ძარლ ბლინდი:

„Ველა ნემცებმა ერთ პირათ ვიმოქმედოთ! Ახლა დინასტიას არ უნდა დავსდევდეთ, მამულის დაცვისთვის უნდა ზრუნავდეს ყოველი ნემეცი. Უსინდისო დესპოტმა, რომელმანც დალუპა ორი რესპუბლიკა, მოინდომა ახლა ზერმანიის დაჩაგრვა. შეეერთდეთ ყველანი იმის დასამარცხებლათ. Როცა ჩვენ გავთავისუფლდებით ამ გარეშე მტრისაგან, მაშინ, უეჭველია, უფრო მალე მოვახერხებთ საკუთარი ჩვენი თავის განთავისუფლებასაც!“

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ 29 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲗ.

Ბ ე რ ლ ი ნ ი.—როგორც პრუსიელები აცხადებენ, შორტს რომ ბრძოლა მოხდა იქ ფრანცუზებს ხუთი ათასი მოკვლიათ და დაკოდიათ, და ექვსი ათასი ტყვეთ დაკარგვიათ. Პრუსსიელების მხრით ოთხი ათასი კაცი მომკვდარა და დაკოდილა.

Ლ ო ნ დ ო ნ ი.—წარსულ ორშაბათს (27 ივლისს) პარლამენტში გამოაცხადეს, რომ Ინგლისს საფრანგეთისთვის და პრუსსიისთვის გამოუცხადებია, იმათ რომ ბელგიის ნეიტრალიტეტი დაარღვიონ (ესე იგი ბელგიის სამხღვარში შევიდნენ), Ინგლისი და სხვა სახელმწიფოები ბელგიას დაეხმარებიან დაცვაში.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ, 26 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ, ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲡ.

პარიჟი.—მმართებლობა აცხადებს, რომ ვეისენბურგთან ომის დროს საფრანგეთის ჯარს მარტო რვა ათასი კაცი შეადგენდა, პრუსიელების არმია კი ორი კორპუსიდგან იყო შემდგარი; იმას ხალხი მაინც ასობით დაეხოცა და დაეკოდა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ, 27 ᲘᲕᲚᲘᲡ, ᲓᲘᲚᲘᲗ.

საფრანგეთის და პრუსსიის ჯარებს შუა მოხდა ომი ს. ვორტს. პრუსსიელებმა ოთხი ათასი ტყვე იშოვეს, ორი ბაირაღი, ექვსი ახლათ მოგონილი კარტეჩის ზარბაზანი (მიტრალეზა) და ოცდაათიოდე ზარბაზანი. Ამბობენ, მარშალი მაკ-მაჰონი დაკოდილა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ, 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ, ᲓᲘᲚᲘᲗ.

პარიჟი. ნაპოლეონი ტელეგრამით აცხადებს, რომ საარბრუკენთან, საღამოს ხუთ საათზე, გამოჩდნენ პრუსსიელები, და უკან გაედენეთო, მაგრამ ახალ მოსულმა პრუსსიის კორპუსმა (საფრანგეთის) გენერალ შროსსარს უკან დაახევინა.—

—ვორტს, რომ ბრძოლა მოხდა, იქ მაკ-მაჰონს ხუთი დივიზია ყავდა. პრუსსიის ახალ საკარტეჩო ზარბაზნებმა დიდი ვნება მისცეს ფრანცუზებს. მაკ-მაჰონმა უკან დაისწია, ნანსის გზის დასაცველათ.—პრუსსიელებს გზა გადუკავეს. საფრანგეთის ჯარი ერთ ალაგს გროვდება.—

—საფრანგეთის რეგენტი, იმპერატრიცა ევგენი ხალხის მამულის მოყვარეობას შესძახის. ხალხის ყრილობაები იკრძალულნი არიან. პარიჟს საჩქაროთ ამზადებენ დასაცველათ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲡ.

Დღეს დიდ ბრძოლას ელიან მეცის ახლო. პარიჟის დასაცველათ ნაბრძანებია ყველა ოცდა ათი და ორმოცი წლის პირების შეკრება, ნაციონალური გვარდიიდგან. საფრანგეთში მთელი ხალხის დაიარაღებას ამზადებენ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ, 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ, ᲓᲘᲚᲘᲗ.

პარიჟი. ნაპოლეონი ტელეგრამით აცხადებს, რომ საარბრუკენთან, საღამოს ხუთ საათზე, გამოჩდნენ პრუსსიელები, და უკან გაედენეთო, მაგრამ ახალ მოსულმა პრუსსიის კორპუსმა (საფრანგეთის) გენერალ შროსსარს უკან დაახევინა.—

—ვორტს, რომ ბრძოლა მოხდა, იქ მაკ-მაჰონს ხუთი დივიზია ყავდა. პრუსსიის ახალ საკარტეჩო ზარბაზნებმა დიდი ვნება მისცეს ფრანცუზებს. მაკ-მაჰონმა უკან დაისწია, ნანსის გზის დასაცველათ.—პრუსსიელებს გზა გადუკავეს. საფრანგეთის ჯარი ერთ ალაგს გროვდება.—

—საფრანგეთის რეგენტი, იმპერატრიცა ევგენი ხალხის მამულის მოყვარეობას შესძახის. ხალხის ყრილობაები იკრძალულნი არიან. პარიჟს საჩქაროთ ამზადებენ დასაცველათ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲡ.

Დღეს დიდ ბრძოლას ელიან მეცის ახლო. პარიჟის დასაცველათ ნაბრძანებია ყველა ოცდა ათი და ორმოცი წლის პირების შეკრება, ნაციონალური გვარდიიდგან. საფრანგეთში მთელი ხალხის დაიარაღებას ამზადებენ.

თითქმის ამნაირივე აზრები გამოთქვა ერთმა კრებამ ბერლინში, რომელზედაც უმეტესი ნაწილი ლასსალის პარტიის წევრები დაესწრენ. ერთმა ორატორმა თქვა ამ კრებაზე, რომ ომიანობის ატეხა სულ ნაპოლეონის ბრალიაო და ამიტომ რიგია, რომ დაისაჯოს ისაო.

— პრუსსიას ორი დიდი ჯარი ეყოლება: ერთის სარდლათ დანიშნულია ახლანდელი პრუსსიის ტახტის მემკვიდრე და მეორეს--პრინცი ფრიდრიხ კარლი.

— ეი რას ამბობს რუსული გაზეთი—„ხმა“ მოწინავე სტატიაში მაომარი მხარეების ჯარზე: „ორივე მხარეს, პრუსსიას და საფრანგეთსაც, ძალიან გაწვრთნილი ჯარი და თავის საქმის მცოდნე ლენერლები ჰყავს. თოფები და საზოგადოთ სასროლი იარადი ორივეს კარგი აქვთ: მართალია შასპოს თოფი (ფრანცუზების ჯარის) უფრო ხშირათ და შორსაც ესროლის, მაგრამ პრუსიის ჯარის ჩახმახიდგან—სატენი თოფებიც კარგათ ისროიან და ამასთან შასპოზე უფრო მაგრებიც არიან; ეს 1866 წ. დამტკიცდა, როცა ავსტრიელებთან ჰქონდათ ომი. როგორც ფრანცუზები, აგრეთვე ნემცებიც გაცხარებული მიდიან ომში;—ასე რომ ჯერ ვერ იტყვის კაცი—რომელი აჯობებს. ეს კი, უეჭველია, რომ ორივე მხრისკენ აუარებელი ხალხი დაიხოცება ამ ომში. ამ თავით ფრანცუზების საქმე უკეთ უნდა წავიდეს, რადგან თითქმის სრულიათ მზად ჰყავდათ ჯარი და, გამოუცხადეს თუ არა პრუსიას ომი, იმწამსვე სამზღვარზე გავიდნენ“.

— ქვემო მოყვანილი მაგალითები ამტკიცებენ, თუ რა ნაირათ არის ბერმანიაში ხალხი აღელვებული ომიანობის გამო:

5 ივლისს ლანოვერში იყო სახალხო კრება, რომელზედაც, როგორც გაზეთებში სწერენ, ექვსი ათასი კაცი დაესწრო. ამ კრებაზე დაუდვიათ შემდეგი გადაწყვეტილება: „ჩვენ, ქ. ლანოვერის მოქალაქენი და მცხოვრებნი, ვაცხადებთ, რომ ამ უსამართლო ომში, რომელიც აუტეხა ბერმანიას საფრანგეთის მმართებლობამ, ჩვენ ჩვენი სისხლისა და ქონების დაუზოგველათ, სიტყვით და საქმით, ვიომებთ ბერმანიის დასაცველათ და მტრის დასამარცხებლათ“.

— კილის უნივერსიტეტის ყველა სტუდენტებმა მიატოვეს სწავლა და შევიდენ ჯარში ვოლონტერებათ (ვოლონტერი—თავის ნებით მოსამსახურე სალდათია); როდესაც მამულს დაცვა სჭირია, მაშინ თითქმის სწავლასაც უნდა დანებოს კაცმა თავიო, ამბობენ ისინი.

— ომიანობის გამო, ტრიერში თითქმის ყველა სასწავლებლები დაიხურა. იქაური გიმნაზიის უფროსი კლასების შაგირდებმა ჩაიწერეს თავი ვოლონტერებათ და ჯარში შევიდენ.

— ბონნის უნივერსიტეტში ოთხასმა სტუდენტმა გამოაცხადა მაომარ ჯარში შერიცხვის სურვილი და კიდეც მიატოვეს უნივერსიტეტი.

საფრანგეთი

11 ივლისს. „ოფიციალურ გაზეთში“ დაბეჭდილია ნაპოლეონის პროკლამაცია, რომლითაც ის მიმართავს საფრანგეთის ხალხს:

„1866 წელს და ამის შემდეგაც მუდამ ვსცდილობდით, რომ ჩვენსა და პრუსსიას შუა კეთილი განწყობილობა ყოფილიყო, მაგრამ იმან არ მიაქცია ყურადღება არც ჩვენ კეთილ განზრახვასა და არც მოთმინებას. ის მუდამ სცდილობდა სხვა სახელმწიფოების და ქვეყნების დამორჩილებასა და ამით დაიმსახურა მხოლოთ ის, რომ ყველანი განზედ უყურებენ იმას. ამნაირათ, პრუსსიის წყალობით, ევროპა იძულებულია მუდამ მზათ ჰყავდეს ჯარი საომრათა, ასე რომ ყველა შიშში და უწესოების მოლოდებაშია ჩავარდნილი.

„ხალხების კეთილ-დღეობა მოითხოვს, რომ ბოლო მოეღოს ამისთანა საშიშო მდგომარეობას, როდესაც ყოველი ხალხი იმას სცდილობს, რომ მზათ იყოს მეორე ხალხთან საომრათა.

„ჩვენ გავშლიით ახალი მტერის წინა იმ ჩინებულ დროშას, რომელიც აერცელებდა ევროპაში დიდი რევოლიუციის განმანათლებელ და წარმატების აზრებს!

„ფრანცუზებო! მე წაუძღვები წინ იმ მხნე ჯარს, რომელიც აღძრულია მამულის სიყვარულით და თავის ვალდებულების აღსრულებით; იმან იცის თავის მნიშვნელობა, ამიტომ რომ მთელ ქვეყანაში, საცა კი მიდიოდა, გამარჯვებაც თან მისდეოდა!

„ჩვენ ბერმანიას კი არ ვეომებით, ჩვენ ყოველთვის პატივს ვსცემთ ბერმანიის დაუმოკიდებლობას. ჩვენ მხოლოთ გვინდა ისე გავაწყოთ საქმეები, რომ არაფრის შიში არა გვქონდეს მომავალში. ჩვენი სურვილია მშვიდობიანობა დამკიდრდეს ქვეყანაში.

„ღმერთმა ხელი მოგვიმართოს ჩვენ ამ ცდაში. ხალხი, რომელიც იცავს სამართლიან საქმეს, ყოველთვის უძლეველია!“

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი.

— პარიჟში იბეჭდება ნაპოლეონის პროკლამაცია (100,000 ეგზემპლიარი), რომელიც უნდა გაავცელონ სამხრეთის ბერმანიის სალხში და რომელშიაც ნაპოლეონი აცხადებს, რომ იმას სურს მხოლოთ პრუსსიის დამარცხება და ბერმანიის განთავისუფლება ამ სახელმწიფოს მფლობელობისაგან.

— ერთს ნემეცურ გაზეთში სწერენ, ვითომც ნაპოლეონს გამოეცხადებინოს რუსეთის მმართებლობისთვის, რომ ის ამ ომში არც ერთ სხვა სახელმწიფოებს არ დაიხმარებს, თუ არც პრუსსია დაიხმარებს ვისმე. აქედან სჩანსო, ამბობს ეს გაზეთი, რომ საფრანგეთს უნდა, რომ რუსეთი არ დაეხმაროს პრუსსიასა.

— „Constitutionel-ის სიტყვით, პარიჟში 10,000 კაცს გამოუცხადებია ჯარში შერიცხვის სურვილი (ვოლონტერებათ) და მთელს საფრანგეთში კი—97,000 კაცს.

ბერმანიის და საფრანგეთის ძალა.

საფრანგეთში, უკანასკნელი აღწერილობით, ოცდა თერამეტი მილიონი მცხოვრებია. ჩრთილოეთის ბერმანიაში—ოცდა ათი მილიონი, მაგრამ ამას უნდა მიუმატოთ სამხრეთის ბერმანიის ქვეყნებიც, რომელთაც ამ ომში პრუსსიის მხარე უჭირავთ. სამხრეთის ბერმანიის ქვეყნებში ეი რამდენი მცხოვრებია: ბავარიაში—4,825,000, ვიურტემბერღში — 1,780,000, ბადენში — 1,435,000, ბესენ-დარმშტადში — 567,000, რომელიც, ჩრთილოეთი ბერმანიის მცხოვრებლების რიცხვს რომ მიუმატოთ, შეადგენს თითქმის იმაზე მეტს, რამდენიც საფრანგეთშია.

—მმართებლობის ანგარიშით, საფრანგეთს ჰყავს—1,300,000 კაცი ჯარი, რომლიდგან 800,000 შეადგენს მოქმედ ჯარს და რეზერვს და 500,000 მოძრავ ნაციონალურ გვარდიას, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯარი (გვარდია) ნამდვილ სრულიათ არ არის საფრანგეთში. სწორი გამოანგარიშებით, საფრანგეთის ჯარი 650,000 კაცზე მეტი არ იქნება. პრუსსიაში მშვიდობიანობის დროს ითვლება 315,000 კაცი. ომიანობის დროს კი, 1866 წ. პირობის ძალით, მთელი ბერმანია, ჩრთილოეთიც და სამხრეთიც, უნდა შეერთდეს და ჯარი გამოაწვიოს. მარტო ჩრთილოეთ ბერმანიას შეუძლია ომიანობის დროს—957,000 კაცი ჯარი გამოიყვანოს საომრათ. ამ რიცხვს სამხრეთი ბერმანიის სახელმწიფოების ჯარი რომ მიუმატოთ, შესდგება თითქმის—1,150,000 კაცი.(ბადენს ჰყავს—43 ათ. ჯარი, ვიურტემბერღს—34 ათ. ბავარიას—115 ათ).

— ზღვაში კი საფრანგეთი ბევრით უფრო ძლიერია, ვიდრემ ბერმანია, რადგან იმას უფრო მომატებული და კარგათაც გაწყობილი სამხედრო ხოლმანდები (ფლოტი) ჰყავს.—

ხატზე გადაცემა

იმერეთში

(„დროების“ კორრესპონდენცია)

ხატზედ გადაცემას იმერეთში ეძახიან ხატთან ჩივილს თავის დაკარგულ საქონელზე ან ნივთზე: საწყალი იმერელი, როდესაც ყოველივე საშუალებას იხმარს თავის დაკარგული საქონლის ან ნივთის ძებნისათვის და ვერაფერს გაიგებს, მაშინ ხატთან წავა და მას შესჩივლებს. ხატთან ჩივილის გათავების შემდეგ, იგი ძლიერ დაიმედებული არის თავის დაკარგულის პოვნაზე... იქმნება მკითხველმა არ დაიჯერეს, რომ პატრონი თავის დაკარგულს იპოვის, ანუ ამოიგებს, და ისე ამოიგებს, რომ არც მომრიგებელი მოსამართლე დასჭირდება და არც პრისტავი. ზოგიერთი დამკარგველი კი ერთი ორათაც იგებს ამ საშუალებით. მოხდება, რომ თავის სიცოცხლეში დამკარგველმა იქმნება ვერ ამოიგოს, მაგრამ როდესმე, შვილი ანუ შვილის-შვილი, როგორც იქნება, უსათუოთ ამოიგებს.

ყველამ იცის, ვგონებ, რომ წმინდა ბიორგის ხატის უმეტესად ეშინიათ იმერეთის მდაბალ ხალხში, ეინემდის სხვა ხატისა; მაგრამ, ესეც უნდა ვსთქვათ, ყველა წმინდა ბიორგისა კი არა, რომელიმე იმათგანისა და ნამეტურ რომელსაც ძლიერ გათქმული აქვს ხალხში სახელი მრავალი დაკარგულის ამოგებითა.

ჩემს მახლობელ სოფლებში, მაგალითად, არის ბოსლევის წმინდა ბიორგი, ალავერდისა, წევისა, ჩხირაულისა და სხვებისაც. ვაი იმ ქურდის ბრალიო, ამბობენ აქაურები, რომელიც ერთი-ერთ ამ ხსენებულს ხატზედ გადაიცემაო!..მე თქვენც გირჩევთ, მკითხველო, თუ რამე მოგპარონ, ანუ დაგეკარგოს იმერეთში და ვერ ნახო, ხატზედ გადაეცით და უსათუოთ ამოიგებთ;—და თუ თქვენ ვერ ამოიგეთ, თქვენი შვილი და მომავალი მაინც ამოიგებს! მაგრამ გადაცემასაც კოდნა უნდა! ამისთვის მე მოგითხრობთ ერთი ქალის ხატზე გადაცემას, რომელსაც მე დავესწარი ჩემსავე სოფელში.

ამ ქალს ერთი ლონე-მიხდილი ცხენი ყვანდა. ერთ საღამოს გაიხედა ამ ქალმა და ეზოში დაინახა ნაწლეევებ გამოგდებული თავის ბედაური ცხენი! უეჭველია, ვისმეს ყანაში შეევიდოდა დამშეული ცხენი და, როცა გამოეკიდებოდნენ გადასადენათ, გამოიქცეოდა, ღობეზე გადახტომას მოინდომებდა და ზედ დაესობოდა. წარმოიდგინეთ ამ დედა-კაცის მდგომარეობა! ბევრი ეცადა შეეტყო, ვინ ქნა ესა, მაგრამ ვერა გაიგო რა. ბოლოს წამოსულა ეკლესიაზე ერთ კვირა დღეს, ხატზე გადასაცემათ. მე ამ დროს ეკლესიის საკურთხეველში ვიყავი და ჩემთვის საიდუმლოთ ლოცვანს ვკითხულობდი. ეს ქალი მოსულა, წმ. ბიორგის ხატის წინ დაუჩოქნია და ერთი გრძლად ჩამოქნილი სანთელი ხელში დაუკავებია. ერთი რომ დაიძახა ხმა მაღლათ: „წმინდა ბიორგიო,“ მე შევჩერდი და ყური დაუგდე. ქალმა განაგრძო: „წმინდა ბიორგი, ერთი საქმისათვის გახლავარ შენს კალთას ქვეშ მოსული; ერთი რამე მაქვს სათხოვარი და, იმედი მაქვს, პასუხს მომცემ. სხვა ხატთანაც წავიდოდი, მაგრამ ისე ჩქარა ვერც ერთი ხატი ვერ გასჭრის, როგორც შენ. მეც იმიტომ მევედი შენს კალთას ქვეშ, რომ ამდენი შენი ქება მესმის. ისე გთხოვ, შენი მუხლის ჭირიმე, რომ მეტი აღარ შეიძლება. ჩემი სათხოვარი რა გახლავს, შენი მუხლის ჭირიმე, შენც ხომ იცი? რასაკვირველია გეცოდინება, მაგრამ მეც მოგახსენებ: ერთი ცხენი მყავდა, ვინცხას ყანაში გადამხტარიყო, ყანის პატრონი გამოკიდებოდა და, ღობეზე რომ გადმეეხტუნებია, ერთი სარი ში კაკალ მუცელში თხოდა, ასე რომ წელები სულ გარეთ გამოსვლოდა. ის ცხენი, მომიკვდა და, ვინ ოჯახ დაქცეულმა ქნა ეს, არ ვიცი. ახლა გეეედრები და გეხვეწები, შენი მუხლის ჭირიმე, გამაგებინე—ვინ არის ჩემი ერთი კაკალი ცხენის მომკველელი. ჩემი ცხენი ას კაკალ მანეთად მიღირდა და გაჭირვებული ქმარ-შვილის პატრონი წყალში ჩაგვყარა. ვინცხამ ჩემი ცხენი ყანიდამ გადმოდენა და მომიკლა, გეეედრები, წმინდაო ბიორგი, შენი მუხლის ჭირიმე, არწყევინე, ამთხევინე, დაგრიხე, დაწმაწნე, დამანჭე, დაჩხრაკე და დაკლაკნე.“ (ამ დროს დედა-კაცი თავის მოტანილ დიდ სანთელს, რომელიც ხელში უჭირავს ანთებული, ხან წალმა და ხან უკუღმა გრეხს). „სანამდის ასი მანეთი მე არ მომიტანოს და ორმოცდა ათი შენ არ შემოგწიროს, ერთი კარგი სუქანი ცხვარი შენ არ შემოგწიროს კიდო, მანამდი ნუ უშველი, შენი მუხლის ჭირიმე, წმინდა ბიორგი ძალდიდებულო; სანამდი მე თმა-გაშლილმა, გულმოღიავებულმა და დაჩოქვილმა არ შემოუარო მას გარეთ, მანამდინ ნუ ააყენებ ზეზე, გასწყვიტე, გადააშენე, ცოლით, შვილით; ნუ მისცემ ნურაფერს ადგილას შველას, ნურც მის ლოცვას ისმენ, ნურც მისი შვილისას. იქნება როდესმე სამღრთო წირვაში დამპატიჟოს და მე კი არ ვიცოდე თუ ის არის ჩემი ცხენის მომკველელი, და, ვინ იცის, სანთლით დაველოცო, მაგრამ ნუ გაიგონებ ჩემს ლოცვას, წმინდა ბიორგი.“ *) ბოლოს მოუბრუნდა უკუღმა ხატის წინ და კიდევ გაიმეორა ეს ზემოხსენებული სიტყვები, დაგრიხა სანთელი და დასდვა ხატის წინ. ბაათავა თუ არა ამ დედა-კაცმა თავისი ეს გადაცემა, მე გამოვედი საკურთხეველიდამ, ვამხილე, როგორც რიგი იყო და აუხსენი მისი სულელური აზრი და ცუდი სიტყვები, მაგრამ, რომ კიდევ დამეწყო ლაპარაკი და არ გავჩუმებულიყავი, შენი მტერია, მეც უარესათ გადამცემდა...

იმერეთის მდაბალი ხალხის აზრით, ხატებსაც დიდ დღესასწაულებზედ უმეტესად აქვსთ ძალა, ვინემ უბრალო, საქმის დღეებში. ეი, მეორე შემთხვევა ისევ იმ ეკლესიაში. ამ წლის აღდგომის დღეს, გავათავე თუ არა წირვა, ხალხიდამ გამოვიდა ერთი კაცი, დაუჩოქა წმ. ბიორგის ხატსა და მოჰყვა: „წმინდა ბიორგი ძალდიდებულო, ერთი ზურგი ჩალა მქონდა დადგმული ყანაში და, ახლა რომ ბოლოს თოფული მევიდა, ვინცხამ ჩალაც წაიღო და საზვინე ხეც. ბეეედრები და გეხვეწები.....“ მე მაშინვე დიაჩოქებს უთხარი, ნება არ მიეცათ ხატზე გადაცემისა და ამ ნაირად გლეხი ძლიეს შეაჩერეს. მაშინ მობრუნდა ჩემკენ და დამიწყო თხოვნა, რომ ნება მიმეცა, მაგრამ მე მაინც დაუშალე კიდევ. „ღეს მინდა, ბატონო, გადაეცი ხატზე: ძველი ღედლებისგან, განაგრძერა მან, ჭამეგონია, ყველა ხატს ღეს ... ერი, რომ ხატს ყოველთვის ერთი აქვს მეთქი. „მე როგორც ვხედავ, ბატ... დაიწყო მან, თქვენ კი არას გვასწავლი, უმეტესი ვყოფილვარ და სარწმუნოება... კარგება თქვენ ხელში: არც ხატზე გა... არის რიგიო, არც მკითხავთან წასვლა... არც სარტყლის შემორტყმა უნდა ეკ... საო, არც გამოლოცვა უნდაო. ავათ... არც აყოლილით გახდება კაცი ავათ... არაფერი აღარ ყოფილა ქვეყანაზე. ეს... ბედურება მოგვიდის? ძველი ღედლებ... გვეუბნებოდნენ—მკითხავიც საჭირო... შვილო, გამოლოცვაც და ხატზე გა... კარგი არისო და ახლა არაფერი არ... ჭიროვო!“ ამ სიტყვებით გულ-მოსულ... მოვიდა ეკლესიიდამ და შინ წავიდა. გარეთ დაიძახა ხმა მაღლათ: „კარგი, არც მკითხავი და არც გამოლოცვა... ჭირო, მობძანდით დრამაზე და, მე რ... ვენ დრამის ღვინოს მოგცემ, ხელში... გვარდებათ.“

იმერეთში ძვირათ ნახავთ კაცს, რომ... ვის ხატზე, ფიც ქვეშ, სიცრუე სთქვას, ... ცა ჯვარსა და სახარებაზედ ისეთს რ... დაგიფიცებს, რომ სრულიად კიდეეაც ... გონილიყოს.....

შ ო რ ა პ ნ ე ლ ი ბ...

1870 წ.
ივლისის 2-სა დღესა.

ნარევი

ჩინეთის გვერდში ერთი მიყრუებული ... ყანაა, რომელსაც ჰქვიან სახელად ია... უკაცრავად; მიყრუებული კი არა, აქ... სახელმწიფოს გაწყობილებაა, რომ ზო... განათლებულ ხალხებსაც არა აქვთ; მა... თად, იაპონიაში არის პარლამენტი, რო... შიაც სხვადან ხალხისგან ამორჩეული პ... (დეპუტატები) და თავის ქვეყნის საქმეს... გებენ.—ამას წინეთ პარლამენტის სხდ... იყო თურმე გაცხარებული ბაასი ერთ... ურს ჩვეულებაზე, რომელიც მდგომარ... იმაში, რომ იაპონიელები ხშირათ მუ... გაიფატრავენ ხოლმე და ამ რიგათ ეთხ... ან ამ წუთის სოფელს. პარლამენტის ... ტარმა დაიწყო ლაპარაკი, რომ ეს ჩვეულ... უნდა გადავადოთო, რადგან ევროპაში... იციან ასე გაუკეთხავათ თავის მოკე